ინდიფერენტულობა - Indifference - Индифферентность

(ლათ. in+differens *არაგანსხვავებადი, განურჩეველი)*

რაიმეს ნულოვანი **ვალენტობა** კონკრეტული ინდივიდისთვის, ანუ ეს რაიმე ინდივიდისთვის **ნეიტრალურია** (სულერთია), არა აქვს არც დადებითი და არც უარყოფითი ვალენტობა, ამიტომ არც არავითარ გრძნობას არ აღძრავს. ცხოველის შემთხვევაში **0**-ის მაგალითია ცხოველის მიერ ისეთი საგნის აღქმა, რომელსაც ამ ცხოველისთვის არავითარი ბიოლოგიური მნიშვნელობა არა აქვს, არც რომელიმე დასწავლილ ჩვევასთანაა დაკავშირებული და არც სათამაშოდ გამოდგება, ანუ არავითარ **ინტერესს** არ აღძრავს. ადამიანის შემთხვევაში **0**-ის არსი ისაა, რომ იმ საგნის მიმართ ადამიანს აქვს განურჩეველი **დამოკიდებულება**; ანუ დამოკიდებულება ნულოვანია, მაგრამ არა **ამბივალენტობის** გამო (როდესაც + და – ნიშნები ერთმანეთს აბათილებს), არამედ ნულოვანი ინტერესის გამო. **0**-ის საპირისპიროა **გამორჩევადობა**.